



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ისაევი ბორის მიხეილის ძე

ისაევი ბორის მიხეილის ძე (1913, მოსკოვი, – 1989, იქვე), ფიზიკოსი, ბიოფიზიკოსი, რადიობიოლოგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1967), ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატი (1949, 1951). 1935 დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფიზიკის ფაკ-ტი და მუშაობა დაიწყო ექსპერ. მედ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (შემდგომში – სსრკ-ის მედ. მეცნ. აკადემიის ბიოფიზიკის ინ-ტი). იყო ინ-ტის დირექტორის მოადგილე. 1949 მიენიჭა სტალინური პრემია დობიმეტრის УП-2000Т შექმნისათვის. 1951 გამოუშვეს ამ ხელსაწყოს სამრეწველო სერიები, რ-ის წარმატებული სავლე გამოცდების შემდეგ მეორედ მიენიჭა სტალინური პრემია.

1952–54 მუშაობდა სოხუმის ფიზ-ტექ. ინ-ტში დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1954–58 – დირექტორად. 1958–61 იყო სსრკ მეცნ. აკადემიის ბიოფიზიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე. 1961–64 მუშაობდა ატომური ენერჯის საერთაშ. კომიტეტში (МАГАТЭ, ვენა), 1965–68 – მოსკ. ფიზიკა-ტექ. და რადიოაქტიური გაზომვების საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (ВНИИФТРИ) დირექტორის მოადგილედ და მეცნიერ-ხელმძღვანელად. 1968–77 იყო სსრკ სახსტანდარტის კომიტეტის თავ-რის მოადგილე მეტროლოგიის მიმართულებით, 1977–89 – ВНИИФТРИ-ის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი.

ი. იკვლევდა რადიოაქტიური გამოსხივების გემოქმედებას ცოცხალ ორგანიზმებზე. მუშაობდა დასხივებისა და შთანთქმული დოზის ერთეულისა და სახელმწ. ეტალონის შექმნაზე.

თბზ.: Ионизационные методы исследования излучений, М., 1950 (თანაავტ.: В. М. Векслер, А. В. Грошев); Нейтроны в радиобиологическом эксперименте, М., 1967 (თანაავტ. Ю. И Брегадзе).

